

ფრთხილად – ეტიკეტის წვრიღმანები უცხო ქვეყნებში!

თუ თქვენ სხვა ქვეყანაში ყოფნის დროს სადილზე მოგიწვიესთ, უხერხული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად წინასწარ გადახედეთ ეტიკეტის წესებს – სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული, და ზოგჯერ უცნაური ტრადიციებიც არსებობს.

- საფრანგეთში არაა მიღებული აჩქარება, რაოდენ მშვიდრიც არ უნდა იყოთ, აუცილებლად აუჩქარებლად უნდა მიიერთვით. ასევე მიუღებელია სადილის მორთმევამდე ცარიელი პურის ჭამა – ფრანგები ამას უთუოდ ცუდ მანერად ჩაგითვლიანთ.



- ინგლისში სუფრაზე ურთიერთობას დიდ ყურადღებას აქცევენ. კატეგორიულად მიუღებელია ხმის აწევა საუბრის დროს, საკუთარი მიღწევებით ტრაბახი და ყველაზე მეტად – მხოლოდ ერთ სტუმართან საუბარი. სუფრაზე მიმდინარე საუბრის თემა ყველა სტუმრისთვის საერთო უნდა იყოს.



- გრძელი დაპშა ევროპაში 1292 წელს მოგზურმა მარკო პოლომ ჩინეთიდან ჩამოიტანა, იქ დაპშას 2000 წლის მანძილზე მიირთმევენ და ეს ნამდვირ კურტად იქცა ჩინელებისთვის. არასდროს გაჭრათ დაპშა ჩინეთში. გრძელი დაპშა სიმბოლოა ხანგრძლივი ცხოვრების , ხოლო გაჭრიდი დაპშა ცხოვრების ხანგრძლივობის დამოკლებისა და შემცირების სიმბოლოაა აღიარებული.




- ყაზახეთში, თქვენ მოგიტანენ ჩაის, მაგრამ მხოლოდ ნახევარ

ფინჯანს... არ მოითხოვთ ფინჯანის გავსება, რადგან სავსე ფინჯანი ნიშნავს, რომ მასპინძელს უნდა თქვენი წასვლა. ვით უფრო ნაკლებ ჩაის უსხამენ სტუმარს, მით უფრო დიდ პატივისცემას გამოხატავენ მის მიმართ. თანაც ყაზახეთში ჩაის ფიარებიდან სვამენ და სავსე ფიარადან ცხელი ჩაის მირთმევა არც ისე მოხერხებულა.



- ჩიღეში არაფერი არ უნდა მიირთვათ ხელით, კარტოფილი ფრიც კი – ეს ეტიკეტის უხეში დარღვევაა.



- იაპონიაში სადიღვე ყოფნის დროს არ გაგაკვირვოთ იაპონელების ხმამაღლა წვდაპუნმა წვნიანისა და დაპშის მირთმევის დროს. ამომავარი მზის მკვიდრნი ამგვარად მზარეურისადმი პატივისცემას გამოხატავენ. სხვათაშორის, წვნიანი შეგიძლიათ, კოვზის გარეშე, პირადაპირ ჯამიდან მოსვათ.



- ეთიოპიაში ცადვე თეფშის ნუ მოითხოვთ. სტუმრებიც და მასპინძელიც საერთო დიდი თეფშიდან მიირთმევენ. საჭმელს ან თხელ ფენად გამოცხვარ პურზე “ინჯერაზე” დებენ და ისე მიირთმევენ ან თვით “ინჯერით” იღებენ საჭმელს. ამგვარად თქვენ არც თეფში და არც ჩანგადი არ დაგჭირდებათ.



დედამიწის უნიკადური ფოტოსურათები

გერმანემა ასტრონავტმა ადექსანდერ გერსტმა კოსმოსური სადგურიდან გადაღებული ფოტოები ფართო საზოგადოებას გაუზიარა

